დამტკიცებულია
თსსუ-ის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 21 მარტის N#24/7 დადგენილებით

სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის
პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე
პროფესიული განათლების მასწავლებელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრის წესი

მუხლი 1.

სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული განათლების მასწავლებელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრის წესი (შემდგომში - წესი) მოიცავს იმ კრიტერიუმებს, რომელთა დაკმაყოფილებაც საჭიროა პროფესიული მასწავლებლებისათვის.

მუხლი 2.

1. პროფესიული მასწავლებელი შესაძლებელია იყოს პირი რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება ან პროფესიული განათლების V საფეხურის კვალიფიკაცია ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.
2. უნივერსიტეტის პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის აკადემიური ან მოწვეული პერსონალი, რომელთა შერჩევა ხორციელდება უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით.